საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 0 23 0001455771

27/10/2023

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2021 წლის 03 თებერვლის №54701 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტაჟირების გავლის წესის“ გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. სტაჟიორთა შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი (შემდგომში - კონკურსი) ცენტრის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში:
1.1. ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურში - 2 ადგილზე (1 - ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, 1 - საქმისწარმოების მიმართულებით);
1.2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში - 1 ადგილზე;
1.3. იურიდიულ სამსახურში - 2 ადგილზე;
1.4. ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურში - 2 ადგილზე.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატთა განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე - www.hr.gov.ge - კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ოდენობით - 2023 წლის 30 ოქტომბრიდან 2023 წლის 08 ნოემბრის ჩათვლით.
3. სტაჟიორად მიიღება კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:
3.1. ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურში:
3.1.1. ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით:
ა) სტაჟიორად მიიღება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც კარგად ფლობს სახელმწიფო ენას (წერა და მეტყველება), აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი / არის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო ორი სემესტრის სტუდენტი / არის

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი - ბიზნესის ადმინისტრირების / მენეჯმენტის / სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;
ბ) კარგად იცის საოფისე პროგრამები - Microsoft Office Word; Microsoft Office PowerPoint, დამაკმაყოფილებლად - Microsoft Office Excel;
გ) ფლობს ინგლისურ ენას B2 დონეზე (წერა და მეტყველება);
დ) საკონკურსო თემატიკად განისაზღვროს - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.
3.1.2. საქმისწარმოების მიმართულებით:
ა) სტაჟიორად მიიღება - საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც კარგად ფლობს სახელმწიფო ენას (წერა და მეტყველება), მიღებული აქვს პროფესიული განათლება საოფისე საქმის მიმართულებით / აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი / არის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო ორი სემესტრის სტუდენტი;
ბ) კარგად იცის საოფისე პროგრამები - Microsoft Office Word; Microsoft Office powerpoint, დამაკმაყოფილებლად - Microsoft Office Excel;
გ) ფლობს ინგლისურ ენას B1 დონეზე (წერა და მეტყველება);
დ) საკონკურსო თემატიკად განისაზღვროს - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.
3.2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში:
ა) სტაჟიორად მიიღება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც კარგად ფლობს სახელმწიფო ენას (წერა და მეტყველება), არის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული (ბაკალავრი) ან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო ორი სემესტრის სტუდენტი (უპირატესობა მიენიჭება განათლების მეცნიერებების, განათლების მენეჯმენტის ან განათლების ადმინისტრირების მიმართულებით მიღებულ განათლებას);
ბ) კარგად იცის საოფისე პროგრამები - Microsoft Office Word; Microsoft Office Excel; Microsoft Office Powerpoint. სასურველია დიზაინის პროგრამების (Adobe Photoshop, Adobe Illustrato, CorelDRAW ან სხვა.) ცოდნა;
გ) ფლობს ინგლისურ ენას B2 დონეზე (წერა და მეტყველება);
დ) საკონკურსო თემატიკად განისაზღვროს:
დ.ა) საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“;
დ.ბ.) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.
3.3. ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურში:
ა) სტაჟიორად მიიღება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც კარგად ფლობს სახელმწიფო ენას (წერა და მეტყველება), არის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული (ბაკალავრი) / უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო ორი სემესტრის სტუდენტი / სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი - ფინანსების / საბუნებისმეტყველო მეცნიერებების / ეკონომიკის / მენეჯმენტის / ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;
ბ) კარგად იცის საოფისე პროგრამები - Microsoft Office Word; Microsoft Office Excel;

გ) საკონკურსო თემატიკად განისაზღვროს:
გ.ა.) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
გ.ბ.) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.
3.4. იურიდიულ სამსახურში:
ა) სტაჟიორად მიიღება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც კარგად ფლობს სახელმწიფო ენას (წერა და მეტყველება), არის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული (ბაკალავრი) / უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო ორი სემესტრის სტუდენტი / სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი - სამართლის მიმართულებით;
ბ) კარგად იცის საოფისე პროგრამები - Microsoft Office Word; Microsoft Office Excel;
გ) ფლობს ინგლისურ ენას B2 დონეზე (წერა და მეტყველება);
დ) საკონკურსო თემატიკად განისაზღვროს:
დ.ა.) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
დ.ბ.) საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
დ.გ.) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
დ.დ.) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
დ.ე.) „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
დ.ვ.) „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანება;
დ.ზ.) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.
4. სტაჟიორს ევალება: ხალმძღვანელის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება, რომელიც მიმართული იქნება სტაჟიორის პროფესიულ ზრდის, პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
5. სტაჟირების გავლის მსურველს უნდა გააჩნდეს:
ა) გამართული ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
ბ) ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;
გ) მოტივაცია (რატომ არის დაინტერესებული კანდიდატი ვაკანსიით);
დ) გუნდური მუშაობის უნარი.
6. ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურში და ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურში სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვროს 3 თვით (6 თვემდე გაგრძელების პერსპექტივით), ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვროს 3 თვით, იურიდიულ სამსახურში სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვროს 6 თვით.

7. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად:
ა) განცხადების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება.
8. კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ვებგვერდის - www.hr.gov.ge მეშვეობით, ჩემი რეზიუმეს შესაბამის ველში უნდა ატვირთოს:
ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი ან ცნობა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რითაც დასტურდება სწავლის ფაქტი;
ბ) მიუთითოს 1 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი);
გ) წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელშიც უნდა ჩანდეს თუ რატომ სურს კანდიდატს ცენტრში სტაჟირების გავლა.
9. დაევალოს ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამსახურს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით, კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.
10. საკონკურსო კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს ქულათა სისტემით შეფასების საფუძველზე (დანართის შესაბამისად), განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში. ცენტრის დირექტორს სტაჟიორად დასანიშნად წარედგინოს საუკეთესო შედეგების მქონე ის კანდიდატი (კანდიდატები), რომელთა საბოლოო ქულა იქნება ქულათა შესაძლო მაქსიმალური ოდენობის 50%-ზე მეტი;
11. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - ინფორმაციის განთავსების უზრუნველყოფა.
12. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ